ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის

**მპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“  
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინაპერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

**ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

**ცვეთა**

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. ყოველი წლის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადაფასება.

ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

<b>ძირითადი საშუალება</b>	<b>სასარგებლო ვადა (წელი)</b>
შენობა-ნაგებობები	20
ინვენტარი და აღჭურვილობა	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	10
კეთილმოწყობა	5
არამატერიალური აქტივები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

**არამატერიალური აქტივები**

**მპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“  
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხდება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხდება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

**შემოსავლის აღიარება**

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

**მოგების გადასახადი**

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ეხება კორპორატიული შემოსავლის დაბეგრის ახალი მოდელის შემოღებას.

განახლებული მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

**მარაგები**

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.



### **საწესდებო კაპიტალი**

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინაპერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

### **სესხები**

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული დირებულებით.

### **გადასახადები**

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის დირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

### **არამატერიალური აქტივების გამოყენების სანგრძლივობა**

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების სანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

## **4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია**

### **ფასს 16 - იჯარა**

ფასს 16, „იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტის მიღების თარიღში არსებული იჯარის ვალდებულების თანხით (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა

(გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონიათ.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

### **ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:**

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“
- ცვლილებები ფასს 9-ში - „ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“
- ცვლილებები ასს 28-ში “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში”
- ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში - ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 ციკლი



**შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“  
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

- ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“.

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც 2021 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

***სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა***

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შემდგომ დაგეგმავს აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან);
- ცვლილებები ზასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად (ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან);

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“  
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ინვენტარი და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	ბიოლოგიურ ი აქტივები (მცენარეები)	სულ
<b>ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>12,169,998</b>	<b>9,386,805</b>	<b>1,289,738</b>	<b>3,333,643</b>	<b>86,954</b>	<b>290,665</b>	<b>3,343</b>	<b>26,561,147</b>
შექმნა	-	-	-	340,070	-	202,940	4,300	547,310
გასვლა	-	-	-	(10,355)	-	-	-	(10,355)
<b>ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>12,169,998</b>	<b>9,386,805</b>	<b>1,289,738</b>	<b>3,663,358</b>	<b>86,954</b>	<b>493,605</b>	<b>7,643</b>	<b>27,098,101</b>
<b>აკუმულირებული ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>(869,084)</b>	<b>-</b>	<b>(2,850,939)</b>	<b>(71,268)</b>	<b>(219,673)</b>	<b>-</b>	<b>(4,010,964)</b>
ცვეთის ხარჯი	-	(434,307)	-	(342,675)	(2,550)	(40,148)	-	(819,680)
ცვეთის ხარჯი გასვლიდან	-	-	-	4,007	-	-	-	4,007
<b>აკუმულირებული ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>(1,303,390)</b>	<b>-</b>	<b>(3,189,607)</b>	<b>(73,818)</b>	<b>(259,821)</b>	<b>-</b>	<b>(4,826,637)</b>
<b>საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>12,169,998</b>	<b>8,517,722</b>	<b>1,289,738</b>	<b>482,704</b>	<b>15,686</b>	<b>70,992</b>	<b>3,343</b>	<b>22,550,183</b>
<b>საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>12,169,998</b>	<b>8,083,415</b>	<b>1,289,738</b>	<b>473,751</b>	<b>13,136</b>	<b>233,784</b>	<b>7,643</b>	<b>22,271,464</b>

**შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“  
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

<b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>96,855</b>
აქტივი გამოყენების უფლებით ზრდა	173,801
აქტივი გამოყენების უფლებით შემცირება	-
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა	(69,083)
<b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>201,573</b>
აქტივი გამოყენების უფლებით ზრდა	187,953
აქტივი გამოყენების უფლებით შემცირება	-
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა	(92,677)
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>296,850</b>

**6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან**

<b>მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან</b>	<b>31-დეკ-2022</b>	<b>01-იან-2022</b>
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,258,787	1,307,369
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	(463,444)	(463,444)
გადახდილი ავანსები	20,798	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	27,519	27,071
მისაღები პროცენტები	681	681
<b>ჯამი</b>	<b>844,341</b>	<b>871,676</b>

**7. სასაქონლო მატერიალური მარაგები**

<b>სასაქონლო მატერიალური მარაგები</b>	<b>31-დეკ-2022</b>	<b>01-იან-2022</b>
წიგნები და ჟურნალები	50,011	33,056
სამშენებლო მასალები	30,298	30,298
სასაჩუქრე საქონელი	10,293	6,326
წამლები და სამედიცინო ინსტრუმენტები	1,305	633
საწვავი	149	988
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	42,016	9,982
<b>ჯამი</b>	<b>134,070</b>	<b>81,283</b>

**8. წინასწარ გადახდილი ხარჯები**

<b>წინასწარ გადახდილი ხარჯები</b>	<b>31-დეკ-2022</b>	<b>01-იან-2022</b>
ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები	807,051	807,051
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	5,650	5,413
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	200	50
<b>ჯამი</b>	<b>812,901</b>	<b>812,515</b>

**9. ფული და ფულის ეკვივალენტები**

<b>ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>31-დეკ-2022</b>	<b>01-იან-2022</b>
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	404,305	648,515
აშშ დოლარი რეზიდენტ ბანკში	77,567	93,464

**შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“  
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ევრო რეზიდენტ ბანკში	1,171	105
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	245
<b>ჯამი</b>	<b>483,043</b>	<b>742,329</b>

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

**10. კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლების მიერ და ფორმირებულია ფულადი და ქონებრივი შენატანებით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი საანგარიშგები პერიოდის დასაწყისში შეადგენდა 825,736 ლარს, აკუმულირებული მოგება 12,221,807 ლარს, ხოლო გადაფასების რეზერვი 11,508,931 ლარს.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 320,000 ლარით. ამავდროულად კომპანიამ მიიღო 594,916 ლარის ოდენობის ზარალი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კომპანიის კაპიტალმა 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შეადგინა 23,647,333 ლარი (2021 წელს - 24,556,474 ლარი).

**11. საიჯარო ვალდებულებები**

<b>2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>155,562</b>
დამატება წლის განმავლობაში	148,080
იჯარის შეწყვეტა	-
საიჯარო ხარჯი	(109,600)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	42,017
კურსთაშორისი სხვაობა	-
<b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>236,059</b>
დამატება წლის განმავლობაში	187,953
იჯარის შეწყვეტა	-
საიჯარო ხარჯი	(140,000)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	64,867
კურსთაშორისი სხვაობა	-
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>348,879</b>
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	198,106

იჯარის საგანს შეადგენ კომერციული ფართი რომელიც კომპანიამ მიიღო მისი მესაკუთრისგან შპს „კონტროლისგან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 9 დეკემბერს რომელშიც რამოდენიმეჯერ შევიდა ცვლილება, მიმდინარე ხელშეკრულების ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს 20 000 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხელშეკრულება მოქმედებს 2024 აგვისტოს ჩათვლით.

კომპანიას ზემოთ აღნიშნული ქონებიდან 197,75 კვ.მ-ს ფართი ქვეიჯარით გაქირავებული აქვს კომპანიაზე შპს „კაფე იბსუ“-ზე. ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წლის 1 ოქტომბერს და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრამდე, საიჯარო გადასახადი 2024 წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს 1000 ლარს, ხოლო 01.01.2025 წლიდან თანხა 2360 ლარს დღგ-ს ჩათვლით. 2022 წელს კომპანიამ ქვეიჯარით გაქირავებული ფართიდან მიიღო 2542 ლარის შემოსავალი.



**12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2022	01-იან-2022
მიღებული ავანსები	444,548	403,426
მიმდინარე ფინანსური იჯარის პირობები	198,106	81,007
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	55,678	58,286
ვალდებულებები საპენსიო სააგენტოს წინაშე	-	15
<b>ჯამი</b>	<b>698,332</b>	<b>542,734</b>

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ავანსები, რომლებიც ძირითადად სტუდენტების მიერ წინასწარ გადახდილ სწავლის საფასურს წარმოადგენს.

**13. სხვა დარიცხული ვალდებულებები**

სხვა დარიცხული ვალდებულებები	31-დეკ-2022	01-იან-2022
სხვა დარიცხული ვალდებულებები	361,148	21,762

კომპანიის სხვა დარიცხული ვალდებულებების უდიდესი ნაწილი შედგება საგადასახადო ვალდებულებებისგან.

**14. ამონაგები**

ამონაგები	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზიციიდან	6,724,856	5,886,871
სახელმწიფო სასწავლო გრანტი	254,981	266,283
შემოსავალი რეალიზიციიდან (დღგ-თი დასაბეგრი)	116,282	65,038
ERASMUS+ პროგრამის შემოსავლები	36,927	4,453
ტრენინგის კურსების შემოსავლები	5,490	16,626
TOEFL შემოსავლები	3,345	2,746
კონფერენციის საფასური	1,856	1,158
სხვადასხვა საოპერაციო შემოსავლები	350	-
სასწავლო კურსების (უცხო ენების) შემოსავლები	-	122
YS-19-1633 გრანტი, შ.რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	-	20,250
ცვიკაუს უნივერსიტეტის პროექტი (ZWI CKAU FH DEZ. HAUSHALT U. FINANZEN)	-	8,691
<b>ჯამი</b>	<b>7,144,086</b>	<b>6,272,237</b>

**15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება	5,132,850	4,027,790
ცვეთა და ამორტიზაცია	817,926	793,568
ფიზიკური პირის მომსახურების ანაზღაურება	435,814	336,808
სხვა საგადასახადო ხარჯი	133,410	137,685
მომსახურების ხარჯები	107,433	125,578
დაცვის მომსახურების ხარჯი	97,935	85,200
ბუნებრივი გაზის ხარჯი	74,316	46,368
ელექტრო ენერჯის ხარჯი	68,500	55,547
ჩაუთვლელი დღგ-ს ხარჯი	60,352	29,954
კომუნიკაციის ხარჯები	54,299	38,310
წარმომადგენლობითი ხარჯი	50,420	14,428
საკონსულტაციო ხარჯები	39,138	-

**შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“  
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

დასუფთავების ხარჯი	34,175	11,266
კომპიუტერის ხარჯები	22,557	40,112
მივლინების ხარჯი	16,428	560
წყლის ხარჯი	12,118	16,050
ბანკის მომსახურების საკომისიო	4,266	5,314
სპორტ კლუბის ხარჯები	4,139	-
სამეურნეო ხარჯი	79	-
საიჯარო ქირა	-	7,180
მოგებით დასაბეგრი ხარჯი	-	2,390
უიმედო ვალის ჩამოწერა	-	176,764
სხვა საერთო ხარჯი	262,143	254,569
<b>ჯამი</b>	<b>7,428,298</b>	<b>6,205,441</b>

**16. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები**

<b>მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები</b>	<b>2022 წელი</b>	<b>2021 წელი</b>
რეკლამის ხარჯები	132,240	128,597

**17. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები**

**სამართალწარმოება**

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

**18. ფინანსური რისკის მართვა**

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებულ იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

**საბაზრო რისკი**

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის

**მსს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“  
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციამაა ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციამა იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 4) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

**კაპიტალის მართვა**

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

**19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის 33.2-33.4 პარაგრაფებით, „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

	2022 წელი	2021 წელი
მენეჯმენტის ხელფასი	177,438	119,862

ინფორმაცია საიჯარო ვალდებულებების შესახებ დაკავშირებულ მხარეებთან გამჟღავნებულია მე-11 შენიშვნაში.

## **20. საქმიანობის უწყვეტობა**

ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

კომპანიას აქვს საკმაოდ დიდი რესურსები დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების სახით. ასევე კომპანიის მოკლევადიანი აქტივები აღემატება მის მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ არსებობს გარემოებები რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის მანძილზე.

## **21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები**

2023 წელს ქვეიჯარის ხელშეკრულებაში შევიდა ორი ცვლილება პირველ აპრილს და პირველ ივნისს, ორივე ცვლილება ეხება საიჯარო თანხას. 1 აპრილს ცვლილებით საიჯარო თანხა შეიცვალა 1720 ლარით ხოლო მეორე ცვლილებით პირველი ივნისიდან საიჯარო თანხა შეიცვალა 1180 ლარით 01.01.2025 წლიდან ქვეიჯარის თანხა შეადგენს 2360 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

# „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ



სარჩევი

საზოგადოების განვითარების გეგმა .....3

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ ..... 3

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა .....3

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ..... 4

## ა) საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

### ა.1. საზოგადოების განვითარების გეგმა

#### კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

1995 წელს დაარსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „შხსუ“) საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია. შხსუ წარმოადგენს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის ცენტრს, რომლებსაც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს ინგლისურ და ქართულ ენებზე. საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებულია სწავლა/სწავლების უახლესი მეთოდოლოგია.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია ადამიანური და მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება - განვითარება.

**შხსუ არის ავტორიზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. სემესტი ამ სფეროში შეადგენს 2-5%. იგი ახორციელებს 39 აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო), ასევე მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამასა და სასერთიფიკატო კურსებს სიცოცხლის მანძილზე სწავლების ფორმატის ფარგლებში.**

#### საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებები და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებები.

### ა.2 ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

შხსუ მიმდინარე პერიოდში საქმიანობას ეწევა მხოლოდ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრზე #2, იჯარით აღებულ ფართში.

### ა.3 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქართველოში კვლევას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. შხსუ ყურადღებით არჩევს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს, აფასებს ენობრივ კომპეტენციას კვლევის თემატიკასა და სფეროსადმი შესაბამისობას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წახალისებას (სტატიები, კონფერენციებში მონაწილეობა,

რედაქტირება, წიგნის ავტორობა, პროექტების/გრანტების მოზიდვა და სხვ.) უნივერსიტეტი მოუწოდებს აკადემიურ პერსონალს კვლევები განახორციელონ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან ერთად.

#### ა.4 საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

##### ა.4.1 ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

	31/12/2022	31/12/2021	ცვლილება	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	2,274,356	2,507,804	(233,448)	-9.31%
გრძელვადიანი აქტივები	22,572,880	22,757,867	(184,987)	
სულ აქტივები	24,847,236	25,265,671	(418,435)	-1.66%
მიმდინარე ვალდებულებები	1,049,132	554,147	494,985	89.32%
მოგება/ზარალი	11,632,669	12,221,810	(589,141)	-4.82%
სულ კაპიტალი	23,647,331	24,556,473	(909,141)	-3.70%
შემოსავალი რელიზაციიდან	7,144,086	6,272,237	871,849	13.90%

##### ა.4.2 არაფინანსური მაჩვენებლები

###### შსსუ-ს ძირითადი ძლიერი მხარეები

###### კატეგორია

კურსდამთავრებული

###### პუნქტი

ცნობადი კურსდამთავრებულები  
კურსდამთავრებულები მსოფლიო მასშტაბით  
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი ხარისხი

###### კარიერის დაგეგმვა

სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით  
კარიერის დაგეგმვის სამსახურის არსებობა

###### განათლება

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში  
ყველა პროგრამას გავლილი აქვს აკრედიტაცია  
ინგლისურენოვანი პროგრამების ფართო არჩევანი  
ოპტიმალური ზომის აუდიტორიები  
დისციპლინის მაღალი დონე  
სტუდენტთა შეფასების ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა  
სტუდენტებზე ორიენტირებული / მეგობრული სასწავლო გარემო

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ჩარიცხულ სტუდენტთა  
მაჩვენებელი

უცხოელი მოწვეული პერსონალი	
სტუდენტთა მრჩევლები	
სტუდენტების ინდივიდუალად აღიარება	
სტუდენტებისთვის ხელშემწყობი სერვისების ხელმისაწვდომობა	
ელექტრონული მონაცემთა ბაზები (SIS და SMART სისტემები)	
საგამოცდო ცენტრი	
დამსაქმებლები	მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან პოტენციურ დამსაქმებელთან მარტივი წვდომის შესაძლებლობა (დედაქალაქში მდებარეობა)
ადამიანური რესურსების მართვა	ლოიალური პერსონალი პერსონალის დაწინაურების შესაძლებლობები ცვლილებებისადმი სწრაფად რეაგირების უნარი გუნდური სულისკვეთება და სოლიდარობის გრძნობა
ინტერნაციონალიზაცია	საერთაშორისო გარემო (სტუდენტებისა და პერსონალის მულტიკულტურული საზოგადოება) აქტიური ურთიერთობა სხვა უნივერსიტეტებთან, სააგენტოებსა და ორგანიზაციებთან საერთაშორისო სტუდენტთა მრავალეროვნულობა
კამპუსი	უსაფრთხო, შშმ ადაპტირებული და ჯანსაღი გარემო
ენა	სხვადასხვა უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობა
ბიბლიოთეკა	შესაბამისი რესურსები და მყუდრო გარემო
ურთიერთობა	მჭიდრო კავშირები კერძო და საჯარო დაწესებულებებთან
საზოგადოებასთან	კარგი რეპუტაცია (საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი)
ურთიერთობა	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისი დოკუმენტაციის
მენეჯმენტი	არსებობა (რეგულაციები, ინსტრუქციები) მენეჯმენტის ზედა და საშუალო რგოლებთან ადვილი წვდომა
კვლევა	წახალისების სისტემა აკადემიური/აფილირებული პერსონალისათვის აკადემიური ჟურნალი თითოეულ ფაკულტეტზე
სოციალური აქტივობა	აქტიური სოციალური ცხოვრება, მრავალფეროვანი სტუდენტური კლუბები
გადასახადი	გრანტებისა და ფასდაკლებების შესაძლებლობები ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის შესაძლებლობა

## შსსუ-ს სუსტი მხარეები

<b>კატეგორია</b>	<b>პუნქტი</b>
განათლება	დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინსტიტუციონალური ზომების ნაკლებობა
მენეჯმენტი	მონაცემების ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემატიზაციის ნაკლებობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის
სტუდენტთა მიღება	სუსტი მარკეტინგული სტრატეგია სხვა ქალაქებიდან/რეგიონებიდან სტუდენტთა არასაკმარისი ჩართულობა
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა	დოკუმენტების ბეჭდურ ვერსიებთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ბარიერები  მონაცემთა შეგროვების ელექტრონული პლატფორმა არ არის მომხმარებლისთვის მოსახერხებელი
კვლევა	კვლევაზე ორიენტირებული სწავლების უკმარისობა კვლევის კუთხით აკადემიური პერსონალის არასაკმარისი ხელშეწყობა
ფინანსები საერთაშორისო ინფრასტრუქტურა	შემოსავლის წყაროების კატეგორიებს შორის არათანაბარი გადანაწილება რიგ პროგრამებში არასაკმარისი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები მომძველებული მატერიალური რესურსები არასაკმარისი ავტო-სადგომის სივრცე
ელექტრონული საინფორმაციო სისტემა	არასრულყოფილი ელექტრონული მართვის სისტემა

## მთავარი შესაძლებლობები

მენეჯმენტი კვლევა	მენეჯმენტის გაუმჯობესება კვლევის ხარისხის ამაღლება
საზოგადოება	პრაქტიკის ქსელის გაფართოება ბიზნესთან და საზოგადოებასთან მუშაობის ეფექტურობის გაზრდა
განათლება	განათლების ხარისხის ამაღლება
საუნივერსიტეტო ცხოვრება კურსდამთავრებული ინტერნაციონალიზაცია	სტუდენტებისა და პერსონალის სოციალური აქტივობების გაუმჯობესება კურსდამთავრებულებისგან მზარდი მხარდაჭერის მოპოვება ინტერნაციონალიზაციის ხვედრითი წონის გაზრდა
ინფრასტრუქტურა	უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა კამპუსის განვითარება



## ძირითადი/პოტენციური საფრთხეები

კურსდამთავრებულები ინტერნაციონალიზაცია ფინანსები	ცვლადი დასაქმების ბაზარი ცვლადი სავიზო მოთხოვნები სიღრმისეული ეკონომიკური ცვლილებები ქვეყანაში
ადამიანური რესურსები	მზარდი კონკურენციიდან გამომდინარე, კვალიფიციური კადრების გადინების რისკი

## ბ) ძირითადი რისკები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია მნიშვნელოვანი მიზეზები და ფაქტორები. მათ შორის:

1. პოლიტიკური შეხედულებებისა და მესამე პირების უკანონო ზეწოლის შედეგად საქმიანობის შეფერხების მცდელობა.
2. საკანონმდებლო ცვლილებები, რომელსაც შესაძლოა მოახდინოს კომპანიის საქმიანობის შეფერხება.
3. მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან საქმიანობის შეფერხების მცდელობა:
  - ა) 2018 წლის 20 აგვისტოს უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ შეეზღუდა სტუდენტთა მიღება 1 წლის ვადით, რომელიც გაუქმებული იქნა იმავე საბჭოს მიერ, სააპელაციო საბჭოს ჩართულობით.
  - ბ) შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად, უნივერსიტეტს დაუსაბუთებლად დაეკისრა საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული დავალიანება სასამართლოს მიერ საგრძნობლად შემცირებული იქნა.
  - გ) მაკონტროლებელი ორგანოს მიერ უნივერსიტეტის მთლიან ქონებას დაედო ყადაღა, რომელიც გაუქმებული იქნა ხანგრძლივი სამართლებრივი ბრძოლის შედეგად.

**ძირითადი/პოტენციური საფრთხეები**

კურსდამთავრებულები  
ინტერნაციონალიზაცია  
ფინანსები

ცვლადი დასაქმების ბაზარი  
ცვლადი სავიზო მოთხოვნები  
სიღრმისეული ეკონომიკური ცვლილებები  
ქვეყანაში  
მზარდი კონკურენციიდან გამომდინარე,  
კვალიფიციური კადრების გადინების რისკი

**ბ) ძირითადი რისკები**

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია მნიშვნელოვანი მიზეზები და ფაქტორები. მათ შორის:

1. პოლიტიკური შეხედულებებისა და შესაძლო პირების უკანონო ზეწოლის შედეგად საქმიანობის შეფერხების მცდელობა.
2. საკანონმდებლო ცვლილებები, რომელსაც შესაძლოა მოახდინოს კომპანიის საქმიანობის შეფერხება.
3. მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან საქმიანობის შეფერხების მცდელობა:
  - ა) 2018 წლის 20 აგვისტოს უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ შეეზღუდა სტუდენტთა მიღება 1 წლის ვადით, რომელიც გაუქმებული იქნა იმავე საბჭოს მიერ, სააპელაციო საბჭოს ჩართულობით.
  - ბ) შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად, უნივერსიტეტს დაუსაბუთებლად დაეკისრა საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული დავალიანება სასამართლოს მიერ საგრძნობლად შემცირებული იქნა.
  - გ) მაკონტროლებელი ორგანოს მიერ უნივერსიტეტის მთლიან ქონებას დაედო ყადაღა, რომელიც გაუქმებული იქნა ხანგრძლივი სამართლებრივი ბრძოლის შედეგად.